NN 40-... აკლია: 41, 43, 44, 46; 50-70; 72-75; 77-9... 97-195; 198-201; 205-21...

პარასკევი, მარტის 14 1919 წ. ფასი ათი შაური. № 40.

# ჩვენი ქვეყანა

ყოველდღიური გაზეთი

წელიწადი მესამე.

**რედაქცია**

**სამაზეთო მასალა** უნდა იყოს დაწერილი გარკვევით და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ინახავს მხოლოდ დიდი მოთხრობები.

**რედაქცია ღიაა**: დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

**კანტორა**

**გაზეთის ფასი;** ერთი თვით 10 მან. 3 თვით 25 მან. **განცხადების ფასი**: სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. უკანასკნელზე 50 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება**: თითოეული არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 12 საათამდე 20 მ., 12 საათის შემდეგ 25 მან.

**კანტორა ღიაა**: დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

**მისამართი**: ქუთაისი, თბილისის ქ., ფირხაძის ს. **ფოსტის ადრესი**: ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო

კვირას 24 თებერვალს (ძველი სტილით) ღამით შავი სახადით გარდაიცვალა

## ლუკა ოქროპირის ძე ყუფარაძე

რომელიც იქმნა დაკრძალული ორშაბათს 25 თებერვალს, რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ მეგობრებს პირველი მეუღლე მართა, მეორე შვილები: გრიგოლი, ელენა, ალექსანდრა, მარიამ, თამარა, იულია და კოკი, მესამე ძმა ილია და მეოთხე დები თიო ალათიკესა სიძანები თედორე გურგენის ძე კაჭახიძე, გიორგი იოსების ძე ზჟალავა. 2—2

ღრმად დამწუხრებული მშობლები ივანე ფირანის ძე და თეკლე მიხეილის ასული სახელაშვილები, დები მარიამ ივანეს ასული ადეიშვილი ბაბილინა, ლიზა, ვერა, და ელენა სახელაშვილები, ძმა ვლადიმერ ივანეს ძე სახელაშვილი, სიძე ამბერკი ივანეს ძე ადეიშვილი, აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ უდროვოთ და ტრაგიკულათ გარდაცვალებას კომერციული სასწავლებლის მე-4 კლასის მოწაფე

## გრიგოლ (გრიშა) ივანეს ძე სახელაშვილის

[illegible]
დაკრძალვა მოხდება საფიჩხიის სასაფლაოზე დღისით შაბათს 15 მარტს (ახ. სტ.) ნაშუადღევის 3 საათზე. 1—1

ღრმად დამწუხრებული მეუღლე კესარია სპირიდონის ასული ცირეკიძისა, შვილი ნოე ვასილის ძე ცირეკიძე, ძმა იოველ და და მისი კალინკა ესაიას ძე ასული ცირეკიძისა, ცოლის ძმები, გიორგი და ალექსანდრე სპირიდონის ძენი ბარდაველიძეები, ცოლის და პ. ღასი და ქვისლი რემანოზ ბაბუხადია, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ

## ვასილ ისაიას ძე ცირეკიძის

გარდაცვალებას. რომლის დაკრძალვა მოხდება 2 მარტს ძვ. სტილით დღით შაბათს ნაშუადღევს 1 საათზე ტყიბულში წმ. გიორგის ეკლესიაზე. 2 1

ღრმად დამწუხრებული მამა გლახუნ ოსოფეიშვილი; ძმები: ილარიონ, იონა და პავლე, რძლები: ეფროსინე და აგრაფინე ოსოფიაშვილებისა; სიძე ისე დოლიძე მეუღლითურთ, ბიძაშვილები: ლადიმერ და თომა ოსოფიაშვილები მეუღლებით უღრმეს მადლობას სწირავენ იმ პირთ რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა: წერილით, დასწრებით თუ შემოწირულებით: ჩვენი ძვირფასი და დაუვიწყარი

## სერგო ოსოფიაშვილის გასვენებაში

რომელიც გარდაიცვალა ქ. ქუთაისში 21 თებერვალს ყვავილით და დასაფლავებულ იქმნა სოფ. საყვავისტყეს (გურიაში) 23 თებერვალს ღვთისმშობლის ეკლესიაში. 1 1

# განცხადება.

გვაქვს პატივი ვაცნობოთ ქუთაისის საზოგადოებას, რომ 13 მარტიდან 1919 წ.

## დაიწყო მუშაობა აბანომ,

რომელიც მდებარეობს პუშკინის ქუჩაზე თეთრ ხიდთან. ღია იქნება დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდის გარდა უქმი დღეებისა. მსურველთ შეუძლიათ ისარგებლონ აბანოთი.

გამგე ი. ჯანელიძე.

1—1

# იყიდება

## უძრავი ადგილი

ქ. ქუთაისში კახიანაურში რკინის გზის გადასავალთან, სამ სართულიანი სახლით და ბაღით. შეიძლება გაქირავებაც. მსურველთ შეუძლიათ პირობების გასაგებათ და მოსალაპარაკებლათ მიმართონ თბილისის ქუჩაზე სახლი № 33 ვექილს თომა მაჭავარიანს. 3—3

## ხელის მომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება, დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული, უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებული იქნება შეწყვიტოს გაზეთის გზავნა.

## ფინანსებისათვის.

ჩვენი მთავრობის ფინანსიური პოლი[illegible] სოციალური პოლიტიკა.

მთავრობა არც წმინდა სოციალისტურ პოლიტიკას აწარმოებს და არც წმინდა ლიბერალ-დემოკრატიულს, არამედ შუაშია გაბოგირებული.

ერთი მხრით ხელუხებლად სტოვებს კერძო მესაკუთრეების დიდ უმეტესობას; ვაჭარ-მრეწველებსა, ხელოსნებსა და მიწის მუშებს: არ ართმევს ნამუშავარს რეკვიზიციის სახით.

მეორე მხრით ანიჭებს მუშათა კავშირებს ისეთს უფლებათ, რომელთა გამო რაიმე წარმოება შეუძლებელია.

სავაჭრო საქონელი არ მზადდება და ბაზარი დაცალიერდა.

მეორე მხრით სიმინდმა და პურმა წვრილი მიწისმოქმედის ხელში მოიყარა თავი, რომელსაც თავის მოთხოვნილებათა უმეტესი ნაწილი შინაური ნაწარმოებით შეუძლია კმაჰყოს. ეს ხომერიკის მიერ შემუშავებულისა და შემდეგ დაკანონებული მიწის რეფორმის შედეგია.

და ასეთ პირობებში ქაღალდის ფულმა, რასაკვირველია, ყოველივე ღირებულება დაჰკარგა.

ქაღალდის ფულს მხოლოდ მაშინ აქვს ფასი, როცა ფული ცოტაა, სავაჭრო კი ბევრია.

ჩვენში კი, პირიქით, სავაჭრო საქონელი ცოტაა, ქაღალდის ფული კი ბევრია. და, უეჭველია, ფინანსთა მინისტრმა თუ გ. ჟურულის მიერ არჩეული გზა არ აირჩია და ფულის საბეჭდავი მანქანა არ გააცდინა, ფული კიდევ მეტი იქნება.

მაშასადამე ფულის კურსი არაოდეს არ გამოკეთდება!

რა საშუალებას უნდა მიჰმართოს მთავრობამ, რომ ფინანსიური კრიზისი თავიდან აიცდინოს?

ორში ერთია აუცილებელი.

ან ბოლშევიკურ გზას უნდა დაადგეს: მოახდინოს ყველაფრის რეკვიზიცია, ე. ი. ჩამოართვას მიწისმუშებს პური და სიმინდი, ხელოსნებსა და მრეწველებს მათი ნამუშავარი, ვაჭრებს სავაჭრო, სახლის პატრონებს სახლები, დასწვან ქაღალდის ფული, და დააწესონ ბარათებით საქონლის შეძენა. ერთი სიტყვით, უნდა გა[illegible] რომელიც განახორციელა ლენინმა რუსეთში.

მაგრამ საქართველო ამგვარი ექსპერიმენტისათვის არ გამოდგება: ხალხი თვალის დახამხამებაში ჩამოაგდებს მთავრობას, რომელიც ამგვარს რასმე განიზრახავს.

მაშასადამე მთავრობამ, თუ სურს რეალური პოლიტიკა აწარმოოს, თვისდაუნებურად მეორე გზა უნდა აირჩიოს: წარმოებას ბორკილი უნდა ახსნას და მაშასადამე მუშათა კავშირების გადამეტებული მოთხოვნილებანი არ უნდა შეიწყნაროს.

დროა შეიგნოს მთავრობამაც, რომ საქართველო მსოფლიო ბაზრის ერთს პატარა კუნჭულს წარმოადგენს და მაშასადამე მუშათა პირობები არ უნდა იყოს ჩვენში სხვა, ვიდრე საფრანგეთ-ინგლისში ან ამერიკაშია. ეს — საანბანო ჭეშმარიტებაა, აქსიომაა! თვინიერ ამ პირობისა ხელოსნობა და საქარხნო წარმოება მთლად დაეცემა და საქართველო გაღარიბდება. იმავე დროს, უეჭველია, ეკონომიური განვითარების მხრით ადერბეიჯანიც გაგვასწრებს და სომხეთიც.

ერთი რამეა საკვირველი: სომხები საქართველოში სოციალისტურ პოლიტიკას აწარმოებენ, სომხეთში კი — ლიბერალურს! არ ემეტებათ თავისი ქვეყანა სოციალისტური ექსპერიმენტებისათვის!

აირჩევს თუ არა ჩვენი მთავრობა იმ გზას, რომელსაც რეალური პოლიტიკა თხოულობს?! რასაკვირველია, არა, ვინაიდან ეს — სოციალიზმისაგან თავის გამიჯვნა იქნებოდა, სოციალიზმზე კი მენშევიკები — სოციალ-დემოკრატები აგრე ადვილად ხელს არ აიღებენ.

მაშ რა მოგველის? ფინანსიური გაკოტრება და ყველაფერი ის, რაც მას თან მისდევს: შიმშილი, უსაცმლობა, ავადმყოფა, ბოროტმოქმედების გამრავლება და სხ.

ასე იქნება, ვიდრე ან სოციალ-დემოკრატები არ გამოფხიზლდებიან, ან ხალხი იძულებით არ შეაცვლევინებს მათ პოლიტიკას, ან უცხო ხელი არ დაგვეპატრონება!

დიახ! საქართველო განსაცდელშია.

ვასილ წერეთელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 12 მარტი.

12 მარტი საპატიო ადგილს დაიკავებს ქართლის ცხოვრებაში. 12 მარტს გაიხსნა საქართველოს პირველი დამფუძნებელი კრება.

რუსეთის რევოლუციის ორი წლის განმავლობაში ვერ მოახერხა რუსეთის ყოფილ ტერიტორიაზე აღმოცენებულმა პატარა ერებმა შინაური წესიერების დამყარება და, მით უმეტეს, ვერც დამფუძნებელი კრების მოწვევა.

შინაური საქმეები ვერც საქართველოში მოწესრიგდა სათანადოთ, მიუხედავათ იმისა რომ ჩვენ გაცილებით უკეთეს პირობებში ვიმყოფებოდით, მაგრამ ეს მიეწერება უმთავრესათ ჩვენი მთავრობის სისუსტეს და მოუმზადებლობას.

მაგრამ მოხერხდა ის რაც უმთავრესია და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი განმტკიცდა.

ეს დღე დასავლეთ საქართველოს დედა ქალაქმა ქუთაისმა იდღესასწაულა. დღესასწაული გადაიხადა აგრეთვე რუსეთის რევოლუციის ორი წლის შესრულების გამო, მაგრამ დღესასწაული გამოდგა მეტად მკრთალი და უშინაარსო.

ჩვენი ინტელიგენციის ძალები შეკრებილია დედაქალაქ თბილისში და პროვინცია დაცალიერდა. აი ამით აიხსნება ის, რომ პროვინციამ თავისი ელფერი დაჰკარგა და ყველაფერი უშინაარსობამ მოიცვა.

12 მარტის მიტინგზე ბევრი სიტყვები წარმოითქვა, მაგრამ ღირსება სიმრავლეში არ არსებობს.

ბევრი ილაპარაკეს რუსეთის დიდ რევოლუციაზე, მაგრამ არსებითად რევოლუციას არ შეხებიან. ეს უმთავრესად აიხსნება ორატორების მოუმზადებლობაში და სისუსტეში, რაც არ შეშვენის ისეთ დღეს, როგორიც 12 მარტია.

როგორც არა ერთხელ გვითქვამს: რევოლუცია ჩვენთვის ძვირფასია, როგორც წარმომშობი საქართველოს თავისუფლებისა.

მაგრამ ასე არ ესმის ყველას.

არც საქართველოს დამფუძნებელი კრება და არც ჩვენი დამოუკიდებლობა აღფრთოვანებს ჩვენებურ ზოგიერთ სოციალისტებს.

„დამფუძნებელი კრება იმდენათ საჭიროა ჩვენთვის, რამდენათ იგი მუშების ინტერესებს დაიცავსო".

წარმოსთქვა ერთმა ორატორმა 12 მარტის მიტინგზე.

დიაღ, ჩვენი დამოუკიდებელი არსებობა მათ არ აინტერესებთ. არც ზრუნავენ მასზე და თუ რამდენიმე ათეული მუშის მდგომარეობა გაუმჯობესებული იქნა, სულ ერთია მათთვის:

საქართველო დამოუკიდებელი იქნება თუ დამოკიდებული.

„მამალმა ყივილი უნდა შესცვალოსო", სთქვა იმავე ორატორმა.

არ ვიცით რომელ მამალს გულისხმობდა ორატორი, მაგრამ ეს მამალი თუ რევოლუციის მთავრებს გამოსახავს, ცხადია მას შინაური ამბოხების და ანარქიის ცეცხლი უნდა დაანთოს.

ასეთი დოსტაქრები ისეთ საქართველოს როგორც ჩვენ გვაქვს წარმოდგენილი ვერ გამოადგებიან.

მაგრამ ჩვენს საქართველოში არის რამდენიმე „საქართველო":

მთლიანის ნაკვთები.

და ამ ნაკვთების შეერთება თუ ვერ მოხერხდა, მართლაც მამლები ყივილს შესცვლიან და საქართველოც ამ მამლების ჰყივილს გადაყვება.

ამას უნდა მიაქციოს ყურადღება დამფუძნებელმა კრებამ და უნდა შესძლოს, რომ დანაწილებულმა საქართველომ და მისმა წარმომადგენლებმა ერთი ენა გამონახონ, ურომლისოთ სახელმწიფოებრივი აღმაშენლობა შეუძლებელია.

ამას დღემდის გაურბოდა გაბატონებული პარტია და მან თავისი პოლიტიკა თუ არ შესცვალა, ცხადია პარტიების რიცხვს კიდევ უფრო გაამრავლებს, რაც შეთანხმებულ მუშაობას ხელს უფრო შეუშლის.

ქუთაისში 12 მარტის დღესასწაულზე უფრო მეტი ითქვა „პერევაროტებზე" და შინაურ ბრძოლის აუცილებლობაზე, ვინემ შეერთებაზე და შეთანხმებული მუშაობის აუცილებლობაზე.

ასეთ ტაქტიკას თუ დაადგა ახლად შეკრებილი დამფუძნებელი კრება, ქართველი ერი ვერ გაიხარებს და ვერ ეღირსება [illegible] ის მიისწრაფვის.

ისტორია აღნიშნავს 1919 წლის 12 მარტს, მაგრამ, როგორ აღნიშნავს, ეს დამოკიდებულია დამფუძნებელი კრების მუშაობაზე.

**ნელი.**

## სოჭის ოლქი და „მოხალისეთა ჯარი"

ბაქოს გაზეთ „ედინაია როსია", რომელიც დენიკინის ჯარის ორგანოდ არის ცნობილი, 9 მარტის თარიღით შემდეგს იუწყება:

„გაზეთებში დაბეჭდილი ცნობები, თითქოს ინგლისის სარდლობას „ებრძანებინოს" მოხალისეთა ჯარისთვის" სოჭის ოლქის დაცლა და ის ცნობაც, თითქოს, „მოხალისეთა ჯარს" ეს „ბრძანება" აესრულებინოს, სრულებით სიმართლეს არ შეეფერება და მომდინარეობს მხოლოდ ქართულ წყაროებიდგან. ესეთი ბრძანება არასოდეს არ გამოცემულა, შეუძლებელიც იყო მისი გაცემაც, ნამდვილად კი, სოჭის ოლქში მომხდარი ამბების შესახებ, ინგლისელების მხრით ადგილი ჰქონდა მხოლოდ „მეგობრულ" წინადადებას.

მთელი სოჭის ოლქი კი დღესაც მოხალისეთა ჯარს უკავია.

მდინარე ბზიბის მხოლოდ ერთ ადგილას, სადაც იგი იჭრება სოხუმის ოლქის ტერიტორიაზედ, სდგას ინგლისელთა ორი როტა. სოჭის ოლქში მყოფი მთელი ქართული რაზმი, გენ. კონიევთან ერთად, ტყვედ იქმნა წაყვანილი თავისი არტილლერიით და სამხედრო გაწყობილობით.

## გენერალი ტომსონი

ბაქოდან თბილისში ჩამოვიდა მოკავშირეთა ჯარების სარდალი და ბაქოს გენერალ-გუბერნატორი გენერალი ტომსონი. არა ოფიციალური ცნობებით, გენერალი ტომსონი დანიშნულია მოკავშირეთა სარდლობის მეთაურად კავკასიაში და ინგლისში წასული გენ. ჟოვენიოს მოადგილეობას გასწევს. გენერალ ტომსონის მოადგილეთ კი ბაქოში დაინიშნა ბათომის ინგლისის შტაბში მყოფი გენერალი ოკკო.

## ახალი ამბავი

ქუთაისი.

**მიტინგი და ალლუმი.** 12 მარტს ქუთაისში საქართველოს დამფუძნებელი კრების გახსნის გამო და რუსეთის რევოლუციის ორი წლის თავის აღსანიშნავათ გაიმართა ქუთაისში მოქინადრე ჯარის ალლუმი და სადღესასწაულო მიტინგი. მიტინგზე სიტყვები წარმოსთქვეს ქალაქის თავმა კალანდაძემ, [illegible] რიძემ, გრ. ლაღიძემ, კ. ლომთაძემ ჯანდიერმა და სხვებმა. მიტინგის შემდეგ გაიმართა დემონსტრაცია, რასაც საკმაო ხალხი დაესწრო.

**მთიელთა მთავრობასაგან.** საგარეო საქმეთა მინისტრს მოუვიდა დეპეში. დეპეშაში ნათქვამია, რომ მთიელთა მთავრობა აღშფოთებულია იმ ნოტის გამო რომლითაც საქართველოს მთავრობა პროტესტს უცხადებდა მოკავშირეთა სახელმწიფოებს მოხალისეთა არმიისაგან მთიელთა ხალხის შევიწროვების გამო.

**მშობლები შვილებს ღალატობენ.** ქუთაისის სამაზრო საერობო გამგეობამ შემდეგი შინაარსის მოწერილობა გაუგზავნა ზეკარის საზოგადოების კომისარს: სახალხო სკოლების ინსტრუქტორის მოხსენებით სოფ. კაკას ხიდის მცხოვრებნი თავიანთ შვილებს სასწავლებელში არ უშვებენ, რის გამო კაკასხიდის სასწავლებელში მაცადინეობა არ სწარმოებს. წინადადებას გაძლევთ მიიღოთ ენერგიული ზომები და ძალით მოსთხოვოთ მცხოვრებთ, რომ მათ თავიანთი ბავშვები ვაუშვან სასწავლებელში. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მშობლებს მოეთხოვებათ პასუხი მით უფრო, რომ შემოღებულია უფასო, სავალდებულო სწავლა.

**ვეტერინალური ნაწილის გამგე.** ვეტერინალური ნაწილის გამგის თანამდებობაზე ქუთაისის სამაზრო საერობო გამგეობაში მოიწვიეს ვეტერინარი ექიმი ბესარიონ შენგელია.

**შეწირულება.** კაპიტანმა ახვლედიანმა შესწირა სულით ავათმყოფების საავადმყოფოს 250 მანეთი.

**საქართველოს საკრედიტო დაწესებულებებში მოსამსახურეთა ყრილობამ** გამოუგზავნა ქუთაისის საურთიერთო ნდობის ბანკის მოსამსახურეებს შემდეგი შინაარსის დეპეშა: ყრილობამ მოისმინა რა მოხსენება მოსამსახურეების გაფიცვის შესახებ, მოიწონა თქვენი მოქმედება, გიცხადებთ ამხანაგურ თანაგრძნობას და აღგითქვამთ ყოველგვარ დახმარებას თქვენი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად

## დამფუძნებელი კრების გახსნის გამო.

12 მარტი საშვილისშვილოთ სახსოვარი იქნება და სადღესასწაულო, როგორც საქართველოს მკვდრეთით აღდგომა.

არ ვარ პოეტი, რომ გამშვენებული საკუთარი სიტყვებით და სასმენათ სასიამოვნო რითმებით გამოვხატო ეს ისტორიული მომენტი. ვისარგებლებ მხოლოდ ბაირონის ლექსით:

„Нѣтъ, лучше въ мірѣ бѣдствовать одним ъ,
„Лицомъ къ лицу съ отчаяніемъ своимъ,
„И гнать верблюда въ долѣ кочевой,
„Чѣмъ быть медвѣдю горестнымъ слугой!"

— პოლიტიკური მონობა ფიზიკურ სიკვდილზე უარესია.

მონობა დიდი საძრახისია და თავისუფლებისათვის სიცოცხლის შეწირვაზე ქართველი ყოველთვის მზათ იყო. ნამდვილი ქართველი კაცის გულიდან ამონაკვნესია: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი"!

თავისუფლება შეუდარებელი მშვენიერება არის და ყოველ სატრფოზე უტკბესი.

თვითონაც გიმღერიათ ან გაგიგონიათ:

„Краса природы, совѣршенство,
„Она моя, она моя!
„Кто разорветъ мое блаженство,
„Кто вырветъ изъ рука у меня?!
„Пускай идутъ цари земные
„Съ полшами войновъ своихъ, —
„Не страшны мнѣ снаряды боевые,
„Я смѣлой грудью встрѣчу ихъ".

აქ **она** ცხვირ აკურტნული კოპწია გოგონა კი არ არის, რომელიც მოკლე კაბით და კოხტა მაღალ ქუსლიანი ფეხსაცმელებით ბაღის კიდეზე კეკლუცათ მისრიალებს —აქ **„она"** გახლავსთ თავისუფლება.

„დღეს ეს მერცხალი შემოფრინდა ჭიკჭიკით და გალობითა", მაგრამ მსწრაფლ გაფრინდება, თუ არ მოუხერხეთ, რომ ბუდე მოიწყოს.

ოჯახის პატრონი მყუდრო ფარდულში ჯოხებს გააკვეხებს, რომ მერცხალი ჩამოჯდეს და ბუდე მოიწყოს.

დღეს ვინ არის ოჯახის უფროსი საქართველოში?

სოციალისტები.

ვინ არიან სოციალისტები?

გატაცებული ხალხი.

ხალხი დიახ, ოცნებით გატაცებული, რომელსაც უნდა იდეალი პროზათ შექმნას, ე. ი. ნამდვილ უცვლელათ გაახორციელონ ის, რაც გვიშუქებს, მაგრამ თუ ხელში დავიკავეთ, გაქრება.

მათ სურთ მერცხალი დაატყვევონ გალიაში, ამიტომ მერცხალი მათგან გარბის. —

თავისუფლების მოტრფიალე განა პარტიულ ბრძოლას უნდა განაგრძობდეს?

ბაირონივე ამბობს:

„Слезу страданья осушить съ любовью
„Славнѣе, чѣмъ весь міръ забрызгать кровью"!

სამშობლომ თავის შვილები ყველა ერთ რიგის სიყვარულით უნდა შეინახოს, როგორც დედას გლახა შვილი კიდევ მეტათ ეცოდება.

ჩვენს პატარა სამშობლოში უკვე თოთხმეტი პარტია გამოჩნდა და ყველა ერთი მეორეს ეცილება. მხოლოდ ასეთ საქციელს გაურბის ეროვნულ-დემოკრატია.

ხალხი იმისთანა უნდა იყოს, როგორიც ჩერქეზები იყვნენ. ყველა დიდს ისტორიკოსებს აკვირვებს სიდიდე ისეთის ერების, როგორც ბერძნები და რომაელები იყვნენ, მე კი არა, ისტორიკოსს გასაოცრათ მიაჩნია, რომ ისტორიაში წინ სამაგალითოთ წამოყენებულ არ არიან ჩერქეზები. მათ შორის განცელკავებულათ არც ყოფილან ლეონიდი არც დეცი მუსი, მაგრამ მაგიერათ არ ყოფილან არც ეფიალტი და კატილინა. ჩერქეზებს ერთი მეორე უყვარდათ, ყველა ხელმოსმით ერთ რიგათ მოსამსახურე იყვნენ სამშობლოსი, ერთი მეორეს ჭირსა სჭამდენ და ისე არ იქცეოდენ, ჩვენ რომ ვშვებით: ურემზედ ორს ღერს შეშას თვალის მოსატყუარათ გავჩხიბავთ, ღვინოს შეურევთ წყალს და ფქვილში იაპონიის ძძას გაურევთ, საქონელს გადავმალავთ და გავაძვირებთ, —ყაბარდოში მხედარს გლახა ცხენს არ შეატყუებდენ, მისი ლეკურის ფოლადს ცხრაჯელ აცთობდენ, ქალებს ეხალისებოდა ვაჟებისათვის ნაბდის თელვა და ტანისსამოსის მოქარგვა. დეზერტირი მათ შორის არ შეიძლებოდა, ამიტომ არც ქალები უყვენ იქ, რომ დეზერტირი, იუბკას ქვეშ დაემალათ. მათ შორის მოხუციც იყო, ბავშვიც, მდიდარიც, ღარიბიც, ვაჭარიც, მიწის მუშაც, მაგრამ ყველა თანასწორი იყვენ რაინდობაში, ერთი მეორის ხელის შეწყობაში და მამულისათვის თავგანწირულებაში.

ლერმანტოვი მოგვითხრობს, რომ ყაბარდოში დედამ სახლში არ შეუშვა შვილი, თუმცა ის იყო მშიერ—მწყურვალი, სიცივით ზამთარში აკანკალებული, ტყეებში მალვით დაღლილი და დაკაწრული.

—გასწი, არ მეჩვენო, როგორ გაბედე ცოცხალმა დაბრუნება იქიდან, სადაც ჩვენები დახოცესო.

დედამ ეს შვილები მკვდარი არ დამარხა. ძაღმაც არ იკადრა მისი ლეში.

მამულის სიყვარულმა შეაყვარა მათ ერთი მეორე, შეათვისა ერთი მეორეს და შექმნა ისინი ყველა ერთთავათ რაინდებათ.

სძლია მათ მტერმა, არ იკადრეს მონობა. მუხაჯირათ სხვა ქვეყანას გადასახლდნენ.

მათ იარაღს არ ატანდენ თან. ერთმა ჩერქეზმა დიდი სასყიდელი იძლია, გამატანეთ ჩემი თოფიო.

ვერ გაგატანთო და ერთმა წონა ოქრო შეაძლია, დასტოვე ჩემთვის შენი თოფიო. მან უპასუხა:

„მე ვაჟკაცი აღარ ვიქნები, ჩემი თოფი გავყიდო და ან მტერს ცოცხალმა დაუტოვოო", —აიღო და ზღვაში გადააგდო.

ჩვენში გახურებული ვაჭრობა არის თოფებით და პატრონებით, მაგრამ რათ გვინდა იარაღი? გვინდა რომ ძმამ ძმა მოკლას. იარაღიანმა უიარაღოს ქონება წაართვას.

სოციალისტობამ მოსპო ჩვენში სიყვარული, აამხედრა მეზობელი მეზობელზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

✦ **კრედიტი სასწავლებლებს.** ქუთაისის სამაზრო საერობო გამგეობამ დეპეშით შუამდგომლობა აღძრა განათლების მინისტრის წინაშე, რათა დაჩქარებით იქნას გახსნილი კრედიტი პირველ დაწყებითი უმაღლეს სასწავლებლებისათვის.

✦ **ახალი ჟურნალი.** ამ მოკლე ხანში იბეჭდება და გამოვა სოსო ასლანიშვილის რედაქტორობით ხელოვნური ჟურნალი „თეატრი და მუსიკა“.

✦ **ქუთაისის სამაზრო** ერობის გამგეობის თავმჯდომარე საქმეების გამო თბილისს გაემგზავრა.

✦ **შინაგან საქმეთა მინისტრის** განკარგულებით მთელ რესპუბლიკაში უნდა მოხდეს ექიმების და ფერშლების მობილიზაცია, რომელნიც ერობის განკარგულებაში იქნებიან ეპიდემიასთან საბრძოლველათ.

✦ **მიტინგი ყვირილაში.** გუშინ წინ, 12 მარტს ყვირილაში გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგი დამფუძნებელ კრების დღის აღსანიშნავათ.

✦ **ქალაქის თეატრი.** შაბათს, 15 მარტს ქალაქის თეატრში ქართულ დასის მიერ იქნება დადგმული 4 მოქმედიანი პიესა ვ. შალიკაშვილისა — „არამზადები“.

✦ **საღამო.** კვირას, 16 მარტს საზოგადო საკრებულო დარბაზში, ქართულ დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ გამართული იქნება საღამო, საკონცერტო განყოფილებით. მონაწილეობას მიიღებენ თბილისიდან მოწვეული ძალები.

## ქეიფი.

ვიწრო ოთახი. უშნო ცეკვა არღანის ხმაზე,
შავი სიბნელე. სამიკიტნო ღია კარებით,
ოთახის კუთხე ძლივს ნათლდება ყვითელ ფანრებით
და მიდი მოდის უცხო ხალხი ბინძურ ქუჩებზე.

სვამენ შავ ღვინოს. ცეკვა ხტომით ლაზღანდარობენ.
არღნის კვილში იმღერიან არშიყულ ხმაზე,
ბუტბუტებს სანთელი, ძლივს ძლივობით მტვრიან შანდალზე,
და მის გარშემო შავ ღვინოზე მასლაათობენ.

თუთუნის კვამლში იმალება ფანრის სინათლე,
მაგარ ღვინის სმით იქ ხშირდება უშნო სიმთვრალე
და ეხლებიან სამიკიტნოს ლურჯ დარაბაზე.

ამტვრევენ მინებს, სვრიან გულებს ვერცხლის ხანჯლებით.
სტყდება ბოთლები ღვინით სავსე ხელის გაქნევით,
და ეძინება მეარღანეს, თავის არღანზე.

ა. გაბესკირია

# რევიზორები ქუთაისის საშუალო სასწავლებლებში

რევიზია სკოლაში, ჩვენი აზრით, შემდეგში უნდა მდგომარეობდეს: რევიზორი ესწრება გაკვეთილებს, ეცნობა, თუ რა მეთოდით და რამდენად ითვისებენ მოწაფეები ამა თუ იმ საგანს და შემდეგ მასწავლებელს უთითებს სწავლების ღირსება ნაკლულოვანებაზე და უჩვენებს საუკეთესო მეთოდებს, თუ ეს საჭიროა.

სამწუხაროდ, უნდა ვსთქვათ, რომ ამ დანიშნულებას სავსებით არ შეესაბამებოდა წასულ კვირაში მომხდარი რევიზია ქუთაისის საშუალო სასწავლებლებში. რევიზიამ ისეთი შთაბეჭდილება დასტოვა, რომ მას უთუოდ რაღაცა სხვა მიზანი უფრო უნდა ჰქონოდა, ვიდრე სწავლა-განათლების საქმისათვის სამსახურის გაწევა.

ამ მხრით ყველაზე უფრო ისახელა თავი თბილისის პირველი ვაჟთა გიმნაზიის დირექტორმა ბ. ღულაძემ, რომლის შესახებ საფუძვლიანი წერილია მოთავსებული ადგილობრივ გაზეთში „სოციალ დემოკრატში“.

მასწავლებლებს და მოწაფეებს უხაროდათ, რომ გაქართულებულ სკოლაში პირველად ხედავდენ ქართველ რევიზორებს, როგორც გაუხარდათ პირველი ქართველი მინისტრის ბ. ლასხიშვილის დანახვა.

ბ. ღულაძეს კი ეს გარემოება არაფრად თუ არ ახარებდა, პირ იქით იგი აგერ ეგერ სკოლის გაეროვნების წინააღმდეგ ილაშქრებდა, თავის აზრებს პედაგოგიური მოსაზრებით ასაბუთებდა და რუსულ ენაზე მსჯელობდა. პედაგოგიური საბუთებს წინააღმდეგ ჩვენ, რა საკვირველია, ვერაფერს ვერ ვიტყვით: ქართველი ერის საუკეთესო შვილები სწორედ ამ მოსაზრებებით მოითხოვდენ სკოლის გაეროვნებას, მაგრამ ვაი, თუ ეს ასე არ იყოს, ესეიგი ბატონ ღულაძეს პედაგოგიური მოსაზრებანი კი არა, სხვა რამე ალაპარაკებდეს.

ბ. ღულაძე შევიდა კლასში საქართველოს ისტორიის გაკვეთილზე და ბრძანა, რატომ მსოფლიო ისტორიას არ ასწავლით და საქართველოს ისტორიას ასწავლითო, ასე არ უნდა იყოსო. შემდეგ დაბრძანდა და მოწაფეებისთვის არაფერი არ უკითხავს. მეორე დღეს ისევ იმ კლასში შებრძანდა, და დახვდა უბედობას.. ისევ საქართველოს ისტორიის გაკვეთილი დახვდა (პროგრამაა ისეთი) აქ კი ბატონმა ღულაძემ ვეღარ მოითმინა: სამშობლოს ისტორია უკუ აგდო, მსოფლიო ისტორიაში შესტოპა და იქიდან დაუწყო მოწაფეებს კითხვა.

იგივე ღულაძე სხვა კლასში თხოულობს, რომ „ნესტორის მატიანე“-დან, „ილია მურომელიდან“ და სხვ. მოწაფეებმა ზეპირად უნდა იკოდენო ზოგიერთი ადგილები. ნუ თუ არ იცის ბ. ღულაძემ, რომ ნესტორის მატიანეს გასაგებად და გასაზეპირებლად ძველი სლავიანური გრამატიკის ცოდნაა საჭირო? ამაზე შეიძლება ახლა ლაპარაკი ქართულ სკოლაში?

საქართველო პოლიტიკურად მკვდრეთით აღდგა; მას ეღირსა ეროვნული კულტურის ასპარეზზე გამოსვლა და აქ თავისი სულიერი ძალების გაშლა, და ამ ნანატრ დროს ქართველი რევიზორი ეგონდენ უდიერად ეპყრობა ფრიად საინტერესო და ტრაგედიებით აღსავსე საქართველოს წარსულს. ამავე დროს იგი მიე- [illegible] წავეებს ნესტორის მატიანეს და ძველი სლავიანური გრამატიკის სიღრმეში.

ქართული და პედაგოგიურია ეს თუ რუსული და დენიკინური? იმაში ხომ არ არის აქ საქმე, რომ ბ. ღულაძეს როგორც რუსული ბიუროკრატიული სკოლის ღვიძლ შვილს ჩვენში, გაცილებით უფრო ემარჯვება, ნესტორები, მურომელები და იაროსლავ-ბორის-გლებები, ერთი მხრით, და ოტესონ-გენრიხ-მანფრედ — „ლოიუდოვიკები“, მეორეს მხრით, ვიდრე გორგასლიან, ფარნავაზ კახაბერიძე და ამირან-სავარსამიძეები? იმაში ხომ არ არის აქ საქმე, რომ ბ. ღულაძეს პირველთა შესახებ უფრო შეუძლია ყმაწვილების უცოდინარობაში დაჭერა, ვიდრე უკანასკნელთა შესახებ?

სხვა რომ არა იყოს რა, აქ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამაა რევიზორის მიერ უკუგდებული.

ერთ კლასში მოწაფე მასწავლებელს გაკვეთილს მოუთხრობდა რომის ისტორიის უკანასკნელი ხანიდან; ბატ. ღულაძემ მოწაფეს გააწყვეტინა პასუხი და თვითონ დაუწყო მოწაფეებს კითხვა. აქ კი სწორედ იმის მაგვარი მოხდა, ერთმა დალოცვილმა ინსპექტორმა რომ ჰკითხა მოწაფეებს, ჰკრძნებს რა უყვარდათო. ვინ მოსთვლიდა, რამდენი [illegible] უყვარდათ; მხოლოდ ინსპექტორს თუ[illegible]მე გულში ჰქონდა სიტყვა — სიმშვენიერე. ამ სიტყვას მოითხოვდა პასუხად. და გასწყრა, რომ ვერ მიიღო:

ბ. ღულაძე კითხულობს, რესპუბლიკის პირველ ხანაში რისთვის იბრძოდენ რომაელებიო, კონკრეტულად რომ ვსთქვათ, ბევრი რამისთვის იბრძოდენ, და ეს ბრძოლის საგნები იციან მოწაფეებმა, მაგრამ საიდან დაიწყონ ამის ჩამოთვლა? საიდანაც არ უნდა დაიწყონ, ეს ბ. ღულაძეს ვერ დააკმაყოფილებს: მას გულში აქვს, რომ რომაელები ამ ჟამად უფლებისათვის იბრძოდენ, და მოითხოვს, რომ ყველა ამ კონკრეტულ ფაქტებს სუყველას მოწაფეებმა უცებ მოუყარონ თავი, ჩამოასხან, ჩამოაყალიბონ იმ ფორმულაში რომელიც ბატ. რევიზორს გულში უძევს და უთხრან, უფლებისათვის იბრძოდენო.

შესაძლებელია ეს ფსიხოლოგიურად?

შემდეგ, როცა მოქალაქობრივი ბრძოლის მეორე ხანაზე მიდგა საქმე, რევიზორმა იკითხა, აქ რისთვის იბრძოდენ რომაელები და რომ ვერ გაიგონა სიტყვა ეკონომიური-უკმაყოფილო დარჩა, მიუხედავად იმისა, რომ მოწაფეებმა აღნიშნეს ციფრებით, თუ რამდენ იუგერ მიწას მოითხოვდენ პროლეტარები თავისთვის და რამდენს უტოვებდენ ოპტიმატებს, უკმაყოფილო დარჩა ბ. ღულაძე, თითქო ამ მიწისთვის ბრძოლა ეკონომიური გაუმჯობესებისათვის ბრძოლა არ ყოფილიყო.

---

ჩაუნერგა შური და გახადა სამშობლო ბრძოლის ველათ მოქალაქეთა შორის.

„დიახ, ჩემო ტასიაო, ესე საქმე ასეაო!“

სრულებით არ მოველი, რომ 12 რიცხვმა კვიმატიანი მარტის თვისამ ჩვენში მყუდროება დაამყაროს.

თხას რომ ბოსტანს ჩააბარებ დასაცველათ, იქიდან მწვანილს ვეღარ გადმოიტან.—

დამფუძნებელი კრება სულ სოციალისტებიდან არის შემდგარი.

ერთ ორ არასოციალისტს არაფერს გაუგონებენ! სოციალისტები კი ნგრევაში არიან მარჯვენი, არხიტექტორათ კი ვერ გამოდგებიან.

ისინი არ ინდობენ არავის, ვინც მათი პარტიის არ არის.

შეიძლება ითქვას რომ ისინი ნამდვილი პროკრუსტები არიან.

ხომ იცით, ვინ იყო პროკრუსტი?

ეს გახლდათ ნამეტანი მოყვარული სტუმრის, უხვი პურღვინის კაცი, ალერსიანი მიმღები ნაცნობის და უცნობის, მაგრამ ერთი ახირებული ზნე ჰქონდა: სტუმარს დააწვენდა ტახტზე: თუ სტუმარი მოკლე იყო ტახტზე, ის ქანჩებით გასჭიმავდა კაცს და თუ ტახტზე გრძელი იყო, სტუმარს ფეხებს გადასჭრიდა.

ჩვენი სოციალისტებიც აგდებენ ყველას ერთს კალაპოტში და ვინც არ მოერგება, იმას მენშევიკები ნებას აძლევენ, შიმშილით მოკვდენ. ბოლშევიკები უფრო შებრალებით ეპყრობიან ხალხს: პირდაპირ ხოცვენ, რომ არ იწვალონ.

ეს ასეა, მაგრამ ცხადზე უცხადესია, რომ დამფუძნებელ კრებაში, ერთი აზროვნების თუ უაზროვნების ხალხისაგან, დიდი მსჯელობა და კამათი არ იქნება და ერთს ჰანგზე უხმობენ ერთი მეორეს, ბაირონს რომ აქვს ნათქვამი, ისეთი, როგორც „девять поросят единой матки“.

ბაირონი თქვენ ნუ გგონიათ პოეტი ამურის ცელქობისა. იმას დიდი დავალება მიუძღვის დემოკრატიის სამსახურში. ამას ერთხმათ აღიარებენ მისი ბიოგრაფები, მაგრამ ის უმღერდა ნამდვილ **დემოკრატიას**, სავსეს ადამიანური ღირსებებით და არა **ოხლოკრატიას**. აი, რას სწერს დიდებული პოეტი:

„Я вовсе не намѣренъ льстить народу; Найдуться демагоги безъ меня, Готовые всегда, ему въ угоду, все разрушать, толпу къ себѣ маня, Чтобъ властвовать надъ ней. Зову свободу, Но къ демагогамъ не пристану я“.

ბაირონს, რომელმაც ინგლისში ჩვეულებრივის გაბედულებით გამოესარჩლა საზოგადოთ დემოკრატიას ლორდები ეძახიან: „поэтъ гордости и вольности“.

გკითხავთ, განა აქვს სულში და გულში გაბჯენილი ქრისტიანობა იმ ადამიანს, რომელიც გაცხარებით გარწმუნებსთ:

„ზიარებას გეფიცები, იმ მამაძაღლს სულს გავაცხებინებ, ხანჯლით წელებს გამოუზავეფო“.

ოღონდ კაცს ნუ მოკლავს და სულ ნუ ეზიარება დალოცვილი!

ჩვენი სოციალისტები „ერთობის“ სახელით და მიჩემებით წინააღმდეგებს ისთე ეპყრობიან, როგორც მოსისხლე მტერს.

სადაც სიყვარული და შებრალება არ არის, იქ რვა საათის მუშაობის დაკანონება სრულებით არასფერს არ ნიშნავს.

სდევნა, დატუქსვა და დარბევა მარქსიზმის მიჩემებით მარქსის შეურაცხყოფა არის.

მდაბიოთ ხალხი იტყვის: „ჩემი ცხვარი გინდ მგელს შეუჭამია, გინდ მგლის ფერს ძაღლსო“.

პოეტი ბაირონი იმავე აზრს გალექსავს:

„Я всякой тиранiи врагъ заклятый, „Хотя бы царили демократы“.

უფალმა ჩაუნერგოსთ დამფუძნებელი კრების წევრებს ის გრძნობა, რომელსაც მოციქული იოანნე საკმაოთ რაცხდა ქრისტიანობისათვის და სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა, როცა დაუძლურებული მოხუცებულობით ეკლესიაში მოიყვანდენ: „შვილებო, გიყვარდესთ ერთმანეთი! ეს არის უპირველესი მცნება და კმარა მისი შესრულება!“.

გვაუწყებენ, რომ კრების სხდომას გახსნის უხუცესი სოციალ-დემოკრატი ჯიბლაძე და მდივნათ არჩეული იქნება, ვინც უცროსი ამოჩნდება.

ლომი, ვეფხვი, დათვი, მგელი, ტურა და ყველა მტაცებელნი მხეცნი, არაკათ გახლავსთ ნათქვამი, შეკრბენ სამსჯელოთ, ვისმა ცოდვამ მოგვივლინა გამწყვეტი ჭირიო, ე. ი. თვითონვე შესჭამეს, ხარი, იმიტომ რომ, იმას დიდს ზამთარში ერთი კონა ჩალა მეზობლის ზვინიდან გამოუწიწვავსო.

მზგავსათ დამფუძნებელი კრებაც დაადგენს:

„განდევნილ იქნენ მემამულენი“. მათი მიწის დეკრეტის განხორციელება არ მაშინებს, ჩემს მამულს, დღეს თუ ხვალ, მაინც მოვალე წაიღებდა ჩემთვის გაჩუმება სჯობს, მაგრამ უნდა ვსთქვა, რომ არ მრწამს ჩვენი სოციალისტების საფუძვლიანათ შემოქმედების ნიჭი და უნარი. თუ ქართველმა კაცმა გულმოდგინეთ სიონის ტაძარში არ იმარხულა, როდესაც მძიმე საქმეს სამშობლოს სამსახურისას კისრულობს, ის კისერს მოიტეხს.

დედა ღვთისამ ინება თავისი წილხვდომილი საქართველოს განთავისუფლება. თუ ეს მოახერხა ზეცათა შინა წმიდა ნინო ქართველთ განმანათლებელმა, უეცრათ მოფრინდა საქართველოში მხიარული და ბრწყინვალე თავისუფლება აქ დასაბუდებლათ,

აი, ეხლა შეფერის, რომ ყველამ მოხუცმა და ბავშმა, მშვენიერმა ქალწულმა, მამაცმა და მახინჯებმა ხმა შეტკბობილათ ჰიმნი უმღეროთ:

„დღეს მერცხალი შემოფრინდა
ჭიკჭიკით და გალობითა“.

როგორც გაზაფხულის მერცხალს უყვარს ყუდრო ფარღული მოსაბუდებლათ, ისე თავისუფლების დასამკვიდრებლათ უყვარს ერი ერთი მეორის მოყვარული და შემბრალე, არა თუ მოკიჟინე: „ეს მოკალი, ამას წაართვიო!“.

-კა არ

...ულოსნავის ცხადი უნდა იყოს, რომ ასე კითხვების დასმა და უკმაყოფილების გამოთქმა რევიზორ პედაგოგის მიერ უსაფუძვლოა და შეუწყნარებელი.

მხოლოდ ბ. ღუღაძე კითხვებს მისთვის აყენებს, რომ მას სურს მოწაფეებზეც დაანახოს და თვითონაც დიდი პედაგოგობა დაიჩემოს.

ასეთ მოსაზრებაში შემდეგი ფაქტიც გვარწმუნებს.

ცნობილია, რომ იულიუს კეისარს იმპერატორის ტიტული ჰქონდა და ზოგ ისტორიის სახელმძღვანელოებში იგი ცნობილია პირველ რომის იმპერატორად; მხოლოდ ზოგი ისტორიკოსი პირველ რომის იმპერატორად სთვლის ოქტავიანე ავგუსტს.

ბ. ღუღაძემ დასვა საკითხი, ვინ იყო პირველი რომის იმპერატორი. აქ იგი თავისთავად იყო [illegible] და [illegible] დღესასწაულობდა მას. თუ მოწაფეები ოქტავიანე ავგუსტს დაუსახელებდენ, იგი იულიუს კეისარზე მიუთითებდა; მხოლოდ თუ იულიუს კეისარს დაუსახელებდენ, ოქტავიანე ავგუსტისკენ გაიშვერდა ხელს.

ასეც მოხდა: მოწაფეებმა იულიუს კეისარი დაუსახელეს პირველი რომის იმპერატორად და რევიზორის თვალში (და მხოლოდ რევიზორის თვალში) დამარცხდენ კიდევაც.

ერთ კლასში ფრანგული ენის გაკვეთილზე მასწავლებელმა მოახსენა ბ. ღუღაძეს, რომ ამ კატეგორიის ზმნათა მიმოხვრა არ მისწავლებია ყმაწვილებისათვის. რევიზორს არც აცივა არც აცხელა და **მაინცადამაინც** იმ კატეგორიის ზმნები ჰკითხა, რომ პასუხად სიჩუმე მიეღო.

აშკარაა ყველა ამის შემდეგ, რომ ბ. ღუღაძე განგებ ეძებს ისეთ კითხვებს, რომლებზედაც პასუხს ვერ მიიღებს და ამ პასუხის მიუღებლობას იყენებს მასწავლებლების დასამცირებელ მიზეზად, მათ წინააღმდეგ სამოქმედებლად.

ყველა უვარგისი პასუხის ან პასუხის მიუღებლობის გამო იგი ირონიას გამოხატავს ხოლმე და სახე მისი რაღაც მეფისტოფილურ გამომეტყველებას ღებულობს.

ჩვენ საშუალო სკოლას, როგორც ჩვენ ცხოვრებას საზოგადოდ, ამ ნგრევა-შენების დროს ბევრი ნაკლი აქვს; მასწავლებლები ამ ნაკლების შევსებას ცდილობენ მძიმე პირობებში.

მხოლოდ ბ. ღუღაძენი მათ ხელს თუ შეუშლიან, თორემ ვერ მოეხმარებიან.

ლოს.

# დეპეშები.

(საქ. დეპ. სააგენტო).

**ბოლშევიკური ცნობები.**

**სამხრეთის ფრონტი.** ლუგანის მიმართულებით სად. პეროვზნოვკა დავიბრუნეთ.

**აღმოსავლეთის ფრონტი.** ტერლიბინსკის რაიონში ჩვენმა ჯარმა ბირსკის დასტოვა. ოსინის და ოხანის რაიონში ჩვენმა ჯარმა უკან დაიხია. თერმის რაიონში ჩვენი ჯარი უკან იხევს.

**რიგა.** მარტის 9. რვა მარტს გაიხსნა ლატვიის მწარმოებელთა კავშირის ყრილობა. ყრილობას 146 დელეგატი დაესწრო. ამათში 84 კომუნისტია. პრეზიდიუმში მხოლოდ კომუნისტები შედიან: საპატიო პრეზიდიუმში არჩეული არიან სტუჩკა, ლენინი, მიწად-მოქმედების კომისარი როზინი. ლატიშის მსროლელთა პოლკის კომუნისტური ფრაქციის კომიტეტმა დაარსა სამხედრო რევოლუციონური საბჭო დანიშევსკის თავმჯდომარეობით. თავმჯდომარის ამხანაგია პეტერსონი, წევრები ბაუმანი და ბაუზე.

**ოდესა.** მარ. 7. გამოირკვა, რომ რუსეთის ხალხის კავშირის მოხალისეთა ორგანიზაციებმა განიზრახეს ოდესაში ებრაელთა დარბევა. საფრანგეთის მთავრობამ [illegible] მოკავშირე-[illegible]

„Кто вырветъ
„Пускай идутъ цар... ...ные
„Съ полшами воиновъ своихъ, —

**ეკატერინოსლავი** მარტის 3. გუდიაიპოლედან იუწყებიან, რომ თეთრგვარდიელების მიერ ჯარში გაწვეული გლეხები გარბიან.

**ლევინსკი,** მარტ. 8 ლიბავის გაზეთების ცნობით 480 შეიარაღებული ამერიკელი ჯარისკაცი 60 ოფიცერით ბერლინში ჩავიდა.

## ი ნ დ ო ე თ ი

ინდოეთის საქმეების სტატს სეკრეტარის თანაშემწის ლორდ სინლას პატივსაცემლად გამართულ სადილზე ბიკანიროს მაჰარაჯამ, რომელიც სუფრას თამადობდა, სთქვა: ინდოეთი მიესალმება ლორდ სინლას დანიშვნას, რაც მოწმობს მას, რომ ბრიტანიის მეფეს სურს დაუყონებლივ მიიღოს ზომები საკონსტიტუციო რეფორმების ცხოვრებაში გასატარებლად. განმეტყველი არ იქნება თუ ვიტყვით, რომ თუ იქნებოდა ვინმე ინდოელთაგანი, რომლის სტატს სეკრეტარის თანაშემწედ დანიშვნა სრულ კმაყოფილებას გამოიწვევდა, ჩვენში, ეს უთუოდ ლორდ სინლაა.

**ლოიდ-ჯორჯი და გერმანიის ჯარი**

ლოიდ ჯორჯი სცდილობს გაუქმდეს იძულებით ჯარში გაწვევა. ფიქრობდენ, რომ მისი გეგმა გერმანიას აიძულებს იყოლიოს მოხალისეთა ჯარი გაცილებით მცირე, ვიდრე მარშალი ფოში აპირებდა, სახელდობრ დაახლოვებით 40,000 კაცი.

იმ ხმების შესახებ, რომ ლიოდ-ჯორჯი დაჟინებით მოითხოვს ახალ დროებითი ზავის უფრო მძიმე პირობებს „დეილი ქრონიკი“ ამბობს, რომ ჯორჯის წინადადება შეეხებოდა იმას, რომ განზრახული იყო გერმანიის ჯარის შემცირება 20 დივიზიამდე ე. ი. 2,000,000 კაცამდე. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ეს რიცხვი ბევრად აღემატება ომამდე არსებულ ინგლისის რეგულიარულ ჯარის რაოდენობას და მაშინ დავრწმუნდებით, რომ ასეთი ძალა საჭირო არ არის მარტო თავდაცვისათვის. საჭირო და გონიერი იქნება გერმანიის მომავალ მთავრობას ნება მივცეთ იმდენი ჯარი იყოლიოს, რომ შესძლოს შინაური ავტორიტეტის და წესიერების დაცვა, მაგრამ საჭირო არ არის მეტი ჯარის ყოლის ნება მივცეთ რადგან უნდა გვახსოვდეს, რომ რამდენიმე მეტი ჯარისკაციც ეყოლება გერმანიას ომის საწარმოებლად იმდენიმე ჯარისკაცი უნდა იყოლიოს იმ სახელმწიფოებმა რომლებიც ხალხთა ლიგას შეადგენდა.

# დამფუძნებელი კრება.

დამფუძნებელ კრების შემადგენლობა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, უკანასკნელის გამოანგარიშებით, დაამტკიცა საარჩევნო მეტრი 3759, ამ მეტრის მიხედვით, № 1 გაიყვანა 109 დეპ., № 2 — 8, № 5 — 8 და № 3 5. სხვა პარტიებს წარმომადგენლობა არ ერგოთ.

**დამფუძნებელი კრების წევრები.**

**სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან არჩეულ იქმნენ.**

(№ 1)

ჟორდანია ნოე ნიკოლოზის ძე, ჯიბლაძე სილიბისტრო ბესარიონის ძე, ჩხეიძე ნიკოლოზ (კარლო) სიმონის ძე, რამიშვილი ნოე [illegible] ძე, გეგეჭკორი ევგენი პეტრეს ძე, ხომერიკი ნოე გიორგის ძე, რამიშვილი ისიდორე ივანეს ძე, ჩხენკელი აკაკი ივანეს ძე, არსენიძე რაჟდენ მათეს ძე, ლომთათიძე ალექსანდრე სპირიდონის ძე, გიორგაძე გრიგოლ კიმოთეს ძე, მახარაძე გერასიმე თომას ძე, ელიავა ნიკოლოზ ზურაბის ძე, ჩხიკვიშვილი ბენიამინ გრიგოლის ძე, ჯუღელი ვალერიან ენთიმოსის ძე, ნინიძე კირილე იესეს ძე, ვარდოიანცი მიკიჩ კარაპეტის ძე, ახმეტელაშვილი კონსტანტინე მანუელის ძე, კოვალიოვი მიხეილ ანდრიას ძე, ონიაშვილი დავით ეფრემის ძე, ხოშტარია მუხრან (იონა) მაქსიმეს ძე, დგებუაძე ალექსანდრე ივანეს ძე, თევზაია ბიქტორ ვასილის ძე, გვარჯალაძე კონსტანტინე იაგორის ძე, აბაშიძე ჰაიდარ ალიბეგის ძე, პერნშტეინი ერიკ ადოლფის ძე, ერაძე გიორგი პავლეს ძე, ლორთქიფანიძე (?) ... ლოსკუტოვი ანდრია ვასილის ძე, სალაყაია იოსებ ბეჟანის ძე, გელეიშვილი პეტრე პავლეს ძე, ტერ-პარსეგოვა მახვილაძისა ელეონორა მიხეილის ასული, სალუქვაძე ანანია მაქსიმეს ძე, თოფურიძე დიომიდე ალექსანდრეს ძე, ჯიბლაძე ვლადიმერ გიორგის ძე, მამედოვი გუსეინ გული მამედ ოღლი, რუსია შალიტონ ივანეს ძე, შერვაშიძე ყადირ აიაზბეგის ძე, ბაშალიძე ივანე გიორგის ძე, ჩიხლაძე რაფიელ ალექსის ძე, საყვარელიძე პავლე დავითის ძე, ცაბაძე ვასილი ზაქარიას ძე, ნათაძე ლევან იასონის ძე, გაგოშვილი გიორგი ალექსის ძე, ურატაძე გრიგოლ ილარიონის ძე, დავარაშვილი მოსე აბრაამის ძე, ჯაფარიძე კონსტანტინე იასონის ძე, ცინცაძე ნოე კონსტანტინეს ძე, ძველაია ბარნაბა პავლეს ძე, გურული ზაქარია დავითის ძე, ჩიქავა ალექსანდრე ხუტუს ძე, ყიფიანი რუბენ ლუარსაბის ძე, შარაშიძე დავით გიგოს ძე, მგელაძე ვლასი ლარისპანის ძე, ვონაშვილი დიმიტრი მიხეილის ძე, ტოროშელიძე მინადორა ეფრემის ასული, სურგულაძე სიმონ ელიზბარის ძე, გურჯუა ვასილ გიორგის ძე, ნოდია ვასილი მარკოზის ძე, ავშტროვი რუბენ გიორგის ძე, მიქელაძე ოსმან შავყი ეფენდი, ქუმსიაშვილი ნიკოლოზ გიორგის ძე, საბახტარაშვილი კონსტანტინე ბეჟანის ძე, პანიევი კონსტანტინე აზარის ძე, კანდელაკი კონსტანტინე პლატონის ძე, ბადრიძე ილია გიორგის ძე, შარაშიძე ქრისტინე გიგოს ასული, სულაქველიძე აპოლონ ალმასხანის ძე, კობალეიშვილი ილია ივანეს ძე, ჭავჭანიძე ივანე თედორეს ძე, ჭიაბრიშვილი ანდრია იაკობის ძე, ცინცაძე გიორგი იესეს ძე, ჩხეიძე დავით ანდუყაფარის ძე, ბოლქვაძე ელისაბედ (ლიზა) იოსების ასული, ცისკარიშვილი გაბრიელ დიმიტრის ძე, თევზაძე სარდიონ ონისიმეს ძე, ცინცაბაძე გრიგოლ [illegible] ძე, [illegible]შვილი ილია გიორგის ძე, კიკვაძე თედორე გაბრიელის ძე, ტატიშვილი ივანე ალექსის ძე, კვარაცხელია იოსებ ანტონის ძე, წულაძე ვასილ ქაიხოსროს ძე, იმნაიშვილი ნიკიფორე ბესარიონის ძე, ემუხვარი არზაყან კონსტანტინეს ძე, გომართელი ივანე გედეონის ძე, ბიული პავლე იაკობის ძე, ელიაშვილი იოსებ აარონის ძე, კილურაძე ლიეროსი პავლეს ძე, გვარამაძე თავაზ ყადირ მამაც გული ოღლი, რუხაძე ლევან პორფირეს ძე, ახმეტელაშვილი სიკო გიორგის ძე, შევჩუკი გერასიმე დიმიტრის ძე, ბახაროვი დიმიტრი ვასილის ძე.

**ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან. (№ 2)**

ნიკოლაძე ნიკოლოზი (ნიკო) [illegible] ბის ძე, კედია სპირიდონ [illegible] ძე, ქიქოძე გერონტი დიმიტრის ძე, გვაზავა გიორგი ბეჟანის ძე, თაყაიშვილი ექვთიმე სიმონის ძე, მაჭავარიანი იოსებ კონსტანტინეს ძე, ასათიანი ალექსანდრე სამსონის ძე, სურგულაძე პეტრე როსტომის ძე.

**სოციალ-რევოლიუციონერ პარტიიდან (№ 3)**

შენგელაია ლეო ანდრიას ძე, ნუცუბიძე ილია დავითის ძე, გობეჩია ივანე პავლეს ძე, გობეჩია იოსებ პავლეს ძე, ნათაძე გრიგოლ იასონის ძე.

**სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიიდან. (№ 5)**

ლასხიშვილი გიორგი მიხეილის ძე, რცხილაძე გრიგოლ [illegible] სვიმონის ძე, ნუცუბიძე შალვა ისაკის ძე, ფირცხალავა სამსონ გიორგის ძე, (რისძე), ალექსი-მესხიშვილი შალვა ვლადიმერის ძე, ზარათიშვილი იესე ალექსანდრეს ძე, გედევანიშვილი იოსებ კონსტანტინეს ძე, მდივანი სიმონ გურგენის ძე.

# ქალაქის ბიბლიოთეკის მართველის საყურადღებოთ.

ჩვენი ქალაქის ბიბლიოთეკა ძალიან ცუდ პირობებშია ჩაყენებული. ის იმდენ სარგებლობას არ იძლევა, რამდენსაც უნდა იძლეოდეს და განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზდობისათვის. ბიბლიოთეკა იხურება დღის 3 საათზე და ამგვარ მდგომარეობაშია მეორე დღემდე: თუ მოსწავლე ახალგაზდობას არა აქვს საშუალება, რომ ბიბლიოთეკიდან რაიმე შეიძინოს არ შეუძლია გადიკითხოს გაზეთები და გაეცნოს ქვეყნის მდგომარეობას, ყველა ეს ხდება სამკითხველოს გამგეობის დაუდევრობის გამო. მოსწავლე ახალგაზდები მოვითხოვთ ქალაქის ბიბლიოთეკის გამგეობისაგან შეცვლილ იქნეს ამგვარი მათი დადგენილება და საღამოობით იღებოდეს სამკითხველო რამოდენიმე საათით მაინც, რომ საშუალება გვქონდეს ვისარგებლოთ იმ მცირე დროით რომელიც საღამოობით მოგვეპოვება.

აგრეთვე ვსთხოვთ გამგეობას სამკითხველოში დაცულ იქნას წესრიგი. სამკითხველოში ადგილი არ უნდა ჰქონდეს ხმამაღლა ლაპარაკს, როგორც ეს დღეს ხდება.

ჩვენ მოვითხოვთ რომ ყველაფერი ეს სისრულეში იქნეს მოყვანილი.

მოსწავლე.

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია.

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის
ყოველ დღიური გაზეთ
„ჩვენი ქვეყანა“-ზე
გაზეთის ფას: ერთი თვით 10 მან. სამი თვით 25 მან. ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან 3 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდის.

ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი
„საქართველო“
1919 წ. წელიწადი მეხუთე 1919 წ.
გაზეთი თებერვლიდან წლის დამლევამდე ღირს 135 მანეთი.
მისამართი: თფილისი, სასახლის ქუჩა, № 5), (ქართული ქარვასლა).
ფოსტის მისამართი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგრამისთვის: თფილისი, „საქართველო“, ტელეფონი № 15—73.

მსწრაფლმბეჭდავი „ძმობა“ პუშკინის ქუჩა სახლი გოკიელისა ქუთაისში.